აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის პოლიტიკური ანალიზისა და კვლევების სამმართველო

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები

25 დეკემბერი, 2018

შინაარსი

1. **შესავალი**
2. **ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგარეო ვაჭრობა**
   2.1. **<u>იმპორტ-ექსპორტის საქონელბრუნვა</u>**
   2.2. **<u>საქონელბრუნვა ქვეყნების მიხედვით</u>**
   2.3. **<u>საბაჟო გადასახადები</u>**
3. **ფულადი გზავნილები ოკუპირებული აფხაზეთიდან საზღვარგარეთ და საზღვარგარეთიდან ოკუპირებულ აფხაზეთში**
4. **დასკვნები**

1. შესავალი

რუსეთის ფედერაციის მხრიდან ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ აფხაზეთი „განვითარების“ ახალ ეტაპზე გადავიდა. მას შემდეგ, ოკუპირებულ აფხაზეთში, ადგილობრივი თუ რუსეთიდან მოწვეული ექსპერტების დახმარებით, ეძებენ განვითარების სტრატეგიის ახალ გზებს, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მიზანმიმართულ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირებას, მათ შორის საგარეო სავაჭრო პოლიტიკას.

ჩვენი საინფორმაციო-ანალიტიკური ბარათის მიზანია, ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. მთავრობის ოფიციალურ მონაცემებსა და სხვა წყაროებზე დაყრდნობით გავაშუქოთ და განვიხილოთ ამ რეგიონის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, მათ შორის საგარეო ვაჭრობის ტენდენციები, ექსპორტ-იმპორტი, ფინანსური გზავნილების დინება საზღვარგარეთიდან რეგიონში და რეგიონიდან საზღვარგარეთ.

2. ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგარეო ვაჭრობა

2.1. <u>იმპორტ-ექსპორტის საქონელბრუნვა</u>

2018 წლის 30 მარტს შედგა ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის კოლეგიის სხდომა, რომელზეც განიხილეს მუშაობის 2017 წლის შედეგები. კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ე.წ. ვიცე-პრემიერმა ა. კობახიამ, რუსეთის ფედერალური საბაჟო სამსახურის წარმომადგენელი აფხაზეთში ს. ივანოვმა. სხდომაზე გაცხადდა, რომ საბაჟო სტატისტიკისა და ანალიზის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, 2017 წელს აფხაზეთის საგარეო ვაჭრობა 21 მლრდ 444,1 მლნ რუბლი (დაახლ. 367,89 მლნ აშშ $) შეადგინა, რაც 2016

წელთან შედარებით 3 მლრდ 111.3 მლნ რუბლით ნაკლებია (ანუ 13%-ით არის შემცირებული). ამასთან, 2017 წლის ექსპორტი - 3 მლრდ 594.0 მლნ რუბლი (დაახლ. 61,6 მლნ აშშ $), ხოლო 2016 წლის ექსპორტი - 5,468.0 მლნ რუბლი (დაახლ. 82,66 მლნ აშშ $) (აქ ფიქსირდება 34%-იანი შემცირება); 2017 წლის იმპორტი - 17 მლრდ 850,1 მლნ რუბლი (დაახლ. 306,2 მლნ აშშ $), ხოლო 2016 წლის იმპორტი - 19 მლრდ 087.4 მლნ რუბლი (დაახლ. 288,86 მლნ აშშ $) (აქ რუსულ რუბლში გაანგარიშებით ფიქსირდება 7%-იანი შემცირება). [**იხ. წყარო** №1].

საგარეო ვაჭრობის ბრუნვის შემცირება უკავშირდება 2017 წელს აფხაზეთის ეკონომიკის საკვანძო სექტორებში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა და ტურიზმი, - არასასურველი ეკონომიკური პირობების შექმნას, რაც უარყოფითად აისახა როგორც იმპორტირებულ, ასევე ექსპორტირებული საქონლის მოცულობაზე. ამის მიზეზი გახდა შემდეგი ფაქტორები: მავნებლების მიერ ციტრუსებისა და თხილის დაავადება, რამაც მოსავლიანობის მკვეთრი შემცირება გამოიწვია, თებერვალ-მარტში მიმოზის ყვავილების მოყინვა-დაზიანება, აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში თევზჭერის შემცირება, თევზის გადამამუშავებელი საწარმოების მუშაობის შეჩერება, ნავთობისა და თევზის ექსპორტის შემცირება, ტურისტული ნაკადის მნიშვნელოვნად შემცირება და სხვა. [**წყარო** №2].

რამდენიმე ბოლო წლის განმავლობაში რეგიონიდან ექსპორტირებული საქონლის ნომენკლატურა პრაქტიკულად არ შეცვლილა. ამრიგად, საანგარიშო 2017 წლის პერიოდის განმავლობაში, საბაჟო ორგანოების მიერ 32 085 საბაჟო დეკლარაცია არის გაცემული. საბაჟო გადასახადების დარიცხვის მიხედვით საკონტროლო მაჩვენებელი 77%-ით არის შესრულებული, ე.წ. რესპუბლიკურ ბიუჯეტში 1 მლრდ 583.4 მლნ რუბლი (დაახლ. 27,2 მლნ აშშ $) არის გადარიცხული, რაც 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 121.8 მლნ რუბლით არის შემცირებული (2016 წელს - 1 მლრდ 705.2 მლნ რუბლი ≈ 25,8 მლნ აშშ $) და 2018 წლისთვის დაგეგმილი სამიზნე მაჩვენებლებთან შედარებით 467.27 მლნ რუბლით არის ნაკლები.

ძირითადი იმპორტირებული საქონელი წარმოდგენილია საკვები პროდუქტებით, ალკოჰოლური და უალკოჰოლო პროდუქტებით, თამბაქოს ნაწარმით, მინერალური პროდუქტებით, მედიკამენტებით და სხვა. [**იხ. წყარო** №1].

უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, პირველ რიგში გამოწვეულია სხვადასხვა სამშენებლო მასალების, კვების პროდუქტებისა და საწვავის და საპოხი მასალების იმპორტის მოთხოვნილებით. საქონლის ამ ჯგუფების წილმა იმპორტის საერთო მოცულობაში 61% შეადგინა. ამდენად საექსპორტო პოტენციალი კვლავ დაბალია. ე.წ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მსხვილი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების არარსებობა ხელს უშლის იმპორტჩანაცვლების პირობების შექმნას. [**იხ. წყარო** №2].

ექსპორტის ოპერაციების თვალსაზრისით, როგორც წინა წლებში, წამყვანი პოზიციები უკავი ისეთ კომპანიებს, როგორიცაა: "აფხაზეთის ღვინოები და წყლები", ერთობლივი საწარმო შპს "აფხაზმორპრომი", უცხოური ინვესტიციებით შპს "ხამსა", ე.წ. რესპუბლიკური უნიტარული საწარმო "აფხაზვტორრესურსი", შპს „სოხუმის თევზჭერის მეურნეობა“, შპს „აფსიდზ ბატ და ბეკ", შპს "აფხაზური მანდარინი".

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს 2016 წელთან შედარებით, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეების საერთო რიცხვი 106-ით (ანუ 4.1%-ით) შემცირდა და 2,454 სუბიექტი შეადგინა (2016 წელს - 2,560 სუბიექტი).

საექსპორტო საქონელბრუნვის მნიშვნელოვანი შემცირება მოხდა 2017 წლის პირველ კვარტალში - 54%-ით. ეს, ძირითადად, თევზისა და თევზის პროდუქციის გატანის მოცულობის შემცირებით იყო განპირობებული, იმის გამო, რომ ზამთრის სეზონის პერიოდში "თევზი რესპუბლიკის სანაპიროებს მცირე რაოდენობით მიუახლოვდა". თევზჭერის კვოტა იყო 40 ათასი ტონა, მაგრამ მხოლოდ 9 ათასი ტონა დაიჭირეს. მეორე კვარტალში საექსპორტო საქონელბრუნვა შემცირდა 34%-ით, მესამე კვარტალში - 20%-თ და მეოთხე კვარტალში - 15%-ით.

როგორც ადრე, ექსპორტის საფუძველია აგროსამრეწველო კომპლექსის წარმოება, რომლის წილი შეადგენს 86%-ს (3 მლრდ 092.0 მლნ რუბლი ≈ 53,05 მლნ აშშ $), რომელიც შემცირდა 36%-ით. ამავდროულად, ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურებში ღვინისა და ღვინის პროდუქტების წილი საერთო საექსპორტო ბრუნვის 75%-ი შეადგინა, თევზისა და თევზის პროდუქციის წილი - 6%, ციტრუსოვანი ხილი - 4%, ძვირფასი ლითონები - 2%, ხის კაკალი - 1%, ხე და მისგან დამზადებული პროდუქტები - 1%, სხვა საქონელი - 11%.

საჭიროა აღინიშნოს, რომ აფხაზეთიდან ექსპორტირებული საქონლის ნომენკლატურა იზრდება. 2017 წელს აფხაზეთიდან რუსეთის ბაზარზე გატანილი პროდუქტებიდან შედარებით ახალი იყო: საზამთრო, მარწყვი, ჯემი, აჯიკა, კონიაკი და ყურძნის არაყი.

იმპორტის საქონელბრუნვა 17 მლრდ 850,1 მლნ რუბლი (დაახლ. 306,2 მლნ აშშ $) შეადგინა. ვარდნის ტემპის მაჩვენებელი 7%-ი იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2017 წელს იმპორტის სტრუქტურა მოიცავს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის თითქმის მთლიან სასაქონლო ნომენკლატურას. ყველაზე მნიშვნელოვანი პოზიციები უჭირავთ ისეთ სახეობებს, როგორიცაა: საკვები და ალკოჰოლური სასმელების პროდუქტები, თამბაქოს ნაწარმი, სამშენებლო მასალები, მინერალური პროდუქტები (ბენზინი, დიზელის საწვავი, საავტომობილო ზეთები და თხევადი გაზი), მანქანა-დანადგარები, მოწყობილობები და მექანიზმები, მათ შორის საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სხვა საქონელი (როგორიცაა ქიმიური მრეწველობის პროდუქტები, ტექსტილის ნაწარმი და ა.შ.). ბრუნვის უარყოფითი დინამიკა გამოწვეულია იმპორტის შემცირებით, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის პროდუქციის ნომენკლატურის პრაქტიკულად ყველა სასაქონლო ჯგუფის მიხედვით.

აფხაზეთის მთავარ სავაჭრო პარტნიორებად რჩებიან რუსეთის ფედერაცია და თურქეთის რესპუბლიკა, რომელთა წილი, შესაბამისად, 74%-სა და 5%-ს შეადგენს, დანარჩენი ქვეყნების წილი 21%-ს შეადგენს. მიუხედავად ამისა, აფხაზეთის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების არეალი ნელ-ნელა, ძირითადად არაფორმალურად ფართოვდება და ამჟამად (2017 წლის ბოლოსთვის) 40-ზე მეტ ქვეყანას ითვლის, მათ შორის მოლდოვას რესპუბლიკა, ჩინეთი, საბერძნეთი, უკრაინა და ბელარუსი. [**იხ. წყარო** №1].

- **2017 წლის ოკუპირებული აფხაზეთის ექსპორტი**

ოკუპირებული აფხაზეთის ექსპორტმა 2017 წელს 3 593.8 მლნ რუბლი (დაახლ. 61,6 მლნ აშშ $) შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით შემცირებულია 1,874.1 მლნ რუბლით (-34.3%).

რეგიონის ექსპორტი ძირითადად აგროსამრეწველო კომპლექსის მიერ წარმოებული პროდუქციით იყო წარმოდგენილი (სულ 2017 წ. - 93,9%, ხოლო 2016 წ. - 95.6%), საწარმოო მრეწველობის წილი საერთო ექსპორტის მოცულობაში 2016 წელთან შედარებით ოდნავ გაიზარდა (4.4%-დან 6.1%-მდე). [**იხ. წყარო №2**].

- **2017 წლის ოკუპირებული აფხაზეთის იმპორტი**

ოკუპირებული აფხაზეთის იმპორტი 2017 წელს 17850.1 მლნ რუბლს (დაახლ. 306,2 მლნ აშშ $) შეადგენდა, რაც წინა წელთან შედარებით შემცირებულია 2016 1237.3 მლნ რუბლით (-6.5%).

2016 წელთან შედარებით, 2017 წელს იმპორტის შემცირება გამოწვეული იყო მოსახლეობის რეალური შემოსავლების შემცირებით, წარმოებისა და საინვესტიციო საქმიანობის, აგრეთვე ტურისტების ნაკადის შემცირებით.

რეგიონის იმპორტის საფუძველს ძირითადად შეადგენს: სურსათი, უალკოჰოლო სასმელები და ღვინის მასალები - 33,4%, საწვავ-საპოხი მასალები - 17.2%, დანადგარები - 9.8%, ქიმიური და მასთან დაკავშირებული მრეწველობის პროდუქცია, მედიკამენტები - 9.7%, მიწისზედა ტრანსპორტი - 7.8%, ლითონები და ლითონის პროდუქცია - 4.7%, სამშენებლო მასალები - 3.7%, თამბაქოს ნაწარმი - 3.4%. [**იხ. წყარო №2**].

- **2012-2017 წლების ე.წ. იმპორტ-ექსპორტის სტრუქტურის დინამიკა**

ბოლოს, გვინდა წარმოგიდგინოთ ოკუპირებული აფხაზეთის **2012-2017 წლების** ე.წ. იმპორტ-ექსპორტის სტრუქტურის დინამიკა სხვადასხვა ვალუტაში (**იხ. ნახ. 1, 2, 3**).



	2012	2013	2014	2015	2016	2017
ექსპორტი	2,52	2,69	2,92	4,39	5,46	3,59
იმპორტი	13,87	15,26	16,98	17,59	19,09	17,85

ნახ. 1. 2012-2017 წწ. ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურის დინამიკა (მლრდ, რუსული რუბლი)



	2012	2013	2014	2015	2016	2017
ექსპორტი	134,56	147,62	152,55	120,46	173,9	161,9
იმპორტი	741,8	837,31	886,9	482,89	607,7	804,8

ნახ. 2. 2012-2017 წწ. ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურის დინამიკა (მლნ, ლარი)



	2012	2013	2014	2015	2016	2017
ექსპორტი	80,96	84,45	75,66	71,84	82,66	61,6
იმპორტი	446,32	478,99	439,89	287,98	288,86	306,2

ნახ. 3. 2012-2017 წწ. ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურის დინამიკა (მლნ, აშშ $)

დიაგრამიდან ჩანს, რომ, ერთი მხრივ, იმპორტი დაახლოებით 4-5-ჯერ აღემატება ექსპორტს, ხოლო, მეორე მხრივ, ეკონომიკური საქმიანობის ამ სფეროში ვლინდება მასშტაბების ვარდნის ტენდენცია. ეს განსაკუთრებულად ნათელი ხდება, როდესაც შესაბამის მაჩვენებლებს ავსახავთ შედარებით სტაბილურ ვალუტაში, კერძოდ, აშშ დოლარებში (**იხ. ნახ. 3**).

2.2. <u>საქონელბრუნვა ქვეყნების მიხედვით</u>

როგორც ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, 2017 წელს, აფხაზეთის მთავარ სავაჭრო პარტნიორებად, როგორც ადრე, დარჩნენ რუსეთის ფედერაცია და თურქეთი, რაც ქვეყნის მთლიანი ვაჭრობის 78% -ს შეადგენს: რუსეთის ფედერაცია - 74%; თურქეთი - 4%. დანარჩენი 22% მოდის შემდეგ ქვეყნებზე: მოლდოვას რესპუბლიკა, საბერძნეთი, ჩინეთი, ბრაზილია, უკრაინა, ბელორუსია, ბულგარეთი, ესპანეთი, იტალია, სომხეთი, ლატვია და სხვა ქვეყნები, სულ 40-ზე მეტი (ძირითადად იმპორტის ოპერაციებში). [**იხ. წყარო №2**].

- **საქონელბრუნვა რუსეთის ფედერაციასთან**

რუსეთის ფედერაცია ყოველთვის იყო და რჩება აფხაზეთის რესპუბლიკის მთავარ პარტნიორ ქვეყნად საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში. 2017 წელს სავაჭრო ბრუნვა რუსეთთან 15,790.9 მლნ რუბლს (დაახლ. 270,9 მლნ აშშ $) შეადგენდა, რაც 11.1%-ით ნაკლებია 2016 წლის მაჩვენებელზე, მათ შორის: ექსპორტი - 3,110.7 მლნ რუბლი (დაახლ. 53,4 მლნ აშშ $) (+ 0.3%), იმპორტი - 12,680.8 მლნ რუბლი (დაახლ. 217,5 მლნ აშშ $) (-13.6%). რუსეთთან საგარეო ვაჭრობის ბალანსი ნეგატიური იყო 9,569.5 მლნ რუბლის ოდენობით.

აღებულ პერიოდში, რუსეთის ფედერაციაში ექსპორტირებული იყო: ალკოჰოლური სასმელები - სულ ექსპორტის 90%; ციტრუსის ნაყოფი - 4%; სხვა სასოფლო-სამეურნეო პრო-დუქცია - 5%; სხვა საქონელი, რომელიც დაახლოებით 1%-ს შეადგენს. რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებულ პროდუქციაში უპირატესია: საკვები - 30%; საწვავი და საპოხი მასალები - 19%; მანქანები, აპარატურა და დანადგარები - 9%; ალკოჰოლი, უალკოჰოლო და თამბაქოს ნაწარმი - 8%; ქიმიური მრეწველობის პროდუქცია - 8%; ძვირფასი ლითონები და მათი პროდუქცია - 6%; ასევე სხვა სამრეწველო პროდუქცია - 20%. [**იხ. წყარო №2**].

- **საქონელბრუნვა თურქეთთან**

თურქეთთან ვაჭრობა 2017 წელს 992.0 მლნ რუბლს (დაახლ. 17,02 მლნ აშშ $) შეადგენდა და 2016 წელთან შედარებით შემცირდა 2.7-ჯერ, მათ შორის: ექსპორტი - 276.3 მლნ რუბლით (6.9-ჯერ შემცირდა), იმპორტი - 715.7 მლნ რუბლით (-12.6%). თურქეთთან საგარეო ვაჭრობის ბალანსი, აფხაზეთისთვის იყო უარყოფითი 439.4 მლნ რუბლის ოდენობით და ეს უარყოფითი ბალანსი პირველ რიგში, აფხაზური საქონლის, ძირითადად, თევზის, ხე-ტყის, შავი ლითონებისა და ჯართის ექსპორტის შემცირებას ეხება.

თურქეთში ექსპორტირებული პროდუქციის დიდი წილი მოდის თევზსა და თევზპრო-დუქტებზე (თევზის ფქვილი, თევზის ქონი) - 58%, ფერადი ლითონების ნარჩენები და ჯართი - 22%, ხე-ტყე და მისი პროდუქტები - 16%, მინერალური პროდუქტები - 3%, სხვა საქონელი - 1 %. იმპორტით შემოჰქონდათ ცემენტი - სულ იმპორტის 27%; საკვები პროდუქტები - 22%; ქსოვილები და ფეხსაცმელი - 12%; ქიმიური მრეწველობის პროდუქცია - 10%; მანქანები, აპარატურა და დანადგარები - 9%; სხვა საქონელი - 20%.

თურქეთთან სავაჭრო ურთიერთობების განსაკუთრებული თვისება არის ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების განხორციელება ძირითადად აფხაზური კომპანიების მიერ, თურქული კაპიტალის მონაწილეობით. [**იხ. წყარო №2**].

2.3. <u>საბაჟო გადასახადები</u>

ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, საბაჟო გადასახადებმა შეადგინა საერთო შემოსავლის 38% (რუსეთის ფედერაციის ფინანსური დახმარების გამოკლებით).

2017 წლის ბოლოს, საბაჟო გადასახადების, აქციზის გადასახადებისა და საბაჟო მოსაკრებელის მაჩვენებელი 77%-ით შესრულდა. 1,583.4 მლნ რუბლი (დაახლ. 27,2 მლნ აშშ $) შევიდა ე.წ. რესპუბლიკურ ბიუჯეტში (მაშინ, როდესაც გეგმით გათვალისწინებული იყო 2,050.6 მლნ რუბლი ≈ 35,2 მლნ აშშ $), რაც 121,8 მლნ რუბლით ნაკლებია, ვიდრე 2016 წელს.

ცხრილი 1

საბაჟო გადასახადების სახეობები	**2017 წელი, ათ. რუბლი (ათ. აშშ $)**		**შესრულება**	
	გეგმა	**ფაქტი**	+/-	**%**
საბაჟო გადასახადი (იმპორტი)	570 339,8 (≈ 9 784,5)	445 098,1 (≈ 7 635,9)	- 125 241,7 (≈ 2 148,6)	78
საბაჟო გადასახადი (ექსპორტი)	47 970,3 (≈ 822,96)	13 592,6 (≈ 233,2)	- 34 377,7 (≈ 589,8)	28
საბაჟო მოსაკრებელი	279 109,8 (≈ 4 788,3)	229 687,8 (≈ 3 940,4)	- 49 422,0 (≈ 847,9)	82
აქციზი	169 706,2 (≈ 2 911,4)	112 781,8 (≈ 1 934,8)	- 56 924,4 (≈ 976,6)	67
დღგ	983 452,1 (≈ 16 871,7)	782 224,2 (≈ 13 419,5)	- 201 227,9 (≈ 3 452,2)	80
სულ:	**2 050 578,2 (≈ 35 178,9)**	**1 583 384,5 (≈ 27 163,9)**	**- 467 193,7 (≈ 8 014,99)**	**77**

ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ 2017 წლისთვის საბაჟო გადასახადების ყველა სახეობის მიხედვით ფიქსირდება გეგმის შეუსრულებლობა.

საბაჟო გადასახდელების საერთო მოცულობაში 2017 წელს დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ-ს) წილი იყო 49%, საბაჟო გადასახადის წილი - 29%, საბაჟო მოსაკრებლის წილი - 15% და აქციზის გადასახადის წილი - 7%. [**იხ. წყარო №2**].

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ე.წ. მთავრობის **2017 წლის** ოფიციალური მონაცემებით, ე.წ. რესპუბლიკურ ბიუჯეტში რეგიონის საკუთარი შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენენ შემდეგი გადასახადები და მოსაკრებლები:

1. აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის რეალიზაციიდან მიღებული საგადასახადო შემოსავლები შესაბამისი დღგ და აქციზების სახით - **დაახლ. 900,5 მლნ რუბლი (დაახლ. 23,3 მლნ აშშ დოლარი)**, რაც აღნიშნული ბიუჯეტის საერთო შემოსავლის **≈10.8%-ს** შეადგენს;

2. ე.წ. საგარეო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული საგადასახადო შემოსავლები - **დაახლ. 736,9 მლნ რუბლი (დაახლ. 19,1 მლნ აშშ დოლარი**), მათ შორის საბაჟო მოსაკრებელი და საბაჟო გადასახადი, რაც საერთო შემოსავლების **≈8,9%-ს** შეადგენს.

აქვე აღსანიშნავია უშუალოდ 2016 წლის სირთულეები, როდესაც აფხაზეთის ე.წ. პარლამენტს უწევდა გეგმების კორექტირება და ბიუჯეტის სეკვესტრის განხორციელება. კერძოდ, 2016 წლის ე.წ. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების დროს, შემოსავლების ნაწილში შევიდა ცვლილებები, რის შემდეგაც ამ წლისთვის დაგეგმილი ბიუჯეტის საერთო შემოსავალი შემცირდა 3,248,876.5 ათასი რუბლით (49,165,806 აშშ დოლარით) (მათ შორის, რუსეთის ფინანსური დახმარება სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის - 221,812.0 ათასი რუბლით, ანუ 3,356,719 აშშ დოლარით და საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო ინვესტიციების განხორციელება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით - 2,280,750.0 ათასი რუბლით, ანუ 34,514,981 აშშ დოლარით).

ამავდროულად, სეკვესტრი შეეხო მოსალოდნელ საკუთარ შემოსავლებს **746,314.0 ათასი რუბლით (11,294,098 აშშ დოლარით**). ეს გამოწვეული იყო ძირითადად დღგ-ს შესახებ დადგენილი პრივილეგიების გამო. კერძოდ, შემცირდა ბიუჯეტის შემოსავლების რამდენიმე მუხლი, მათ შორის:

1. საბაჟო გადასახადები (**შემცირდა 475,3 მლნ რუბლით, ანუ დაახლ. 7,192,796 აშშ დოლარით**);

2. დღგ - აფხაზეთის ტერიტორიაზე ე.წ. იმპორტირებულ საქონელზე (**შემცირდა 299,3 მლნ რუბლით, ანუ დაახლ. 4,529,358 აშშ დოლარით**) და სხვ.

ამასთან ერთად, გვინდა აღვნიშნოთ აფხაზეთის ჟურნალისტთა კავშირის მიერ გამართული პრეს-ტური, რომელშიც ჟურნალისტებმა აფხაზეთისა და რუსეთის საზღვარზე საბაჟო პუნქტი მოინახულეს და ნახეს, თუ როგორ მუშაობდა აფხაზეთის საბაჟო სამსახური. პოსტის "ფსოუს" ხელმძღვანელმა ისაუბრა იმ ცვლილებებზე, რომლებიც ახლახან მოხდა. საბაჟოზე მუშაობს 27-27 ადამიანი, ოთხ ცვლაში, ყოველ სამ დღეში. „რუს კოლეგებთან მუშაობა აფხაზეთის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის მნიშვნელოვანი საქმიანობაა“, - თქვა მან. "2017 წლის ოქტომბერში ჩელიაბინსკელმა კოლეგებმა ტექნიკური აღჭურვილობა გვაჩუქეს, მაგალითად, ეს არის რენტგენი, რომელიც ხელბარგს შეამოწმებს, არის აღჭურვილობა, რომელიც ამოწმებს მანქანის სანომრე ნიშანს და ა.შ." ე.წ. სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ უშანგი კვიცინიამ დეტალურად გააცნო ჟურნალისტებს, თუ რა სიახლეებია საბაჟო მოხელეების საქმიანობაში. "საბაჟო კონტროლის განმტკიცების მიზნით და დისციპლინის გასაუმჯობესებლად ფსოუს საბაჟოზე 28 ერთეული ვიდეოთვალი დამონტაჟდა, უახლოეს მომავალში კიდევ ოთხი კამერა დაემატება, საქონლის კონტროლის გარდა, ეს კამერები ასევე საშუალებას მოგვცემს დავაფიქსიროთ საავტომობილო ტრანსპორტი, როგორც აფხაზეთის ტერიტორიაზე შემომსვლელი, ისე გამსვლელი," - თქვა მან.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ოკუპირებული აფხაზეთის საბაჟო პუნქტის თანამდროვე ტექნიკა-ტექნოლოგიურ აღჭურვილობაზე ლაპარაკი ზედმეტია. [**იხ. წყარო №9**].

ოკუპირებულ აფხაზეთში ზემოთ აღწერილი არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით გვინდა მოვიყვანოთ ე.წ. პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატების კრიტიკიდან ზოგიერთი ამონარიდი. **2017 წლის 11 დეკემბერს,** აფხაზეთში, ე.წ. პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტის გაფართოებულ შეხვედრაზე განიხილეს 2018 წლის ე.წ. რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტი. რამდენიმე ოპოზიციურმა დეპუტატმა მწვავედ გააკრიტიკა წარმოდგენილი დოკუმენტი.

ლაშა აშუბა: „საბიუჯეტო, საკრედიტო, გადასახადებისა და საფინანსო კომიტეტმა არაერთი შეხვედრა გამართა ქალაქებისა და რაიონების ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან, რომ-ლებმაც განაცხადეს, რომ 2017 წლის ბიუჯეტი არ შესრულებულა იმის გამო, რომ დღგ-ს ამოღება სრულად არ ხორციელდებოდა. დღგ კი ბიუჯეტის ქვაკუთხედია“. „მთავრობის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ***დღგ ძირეულად შეცვლიდა ადამიანთა ცხოვრებას, მეწარმეობას, საბიუჯეტო სექტორის ფუნქციონირებას, შესაძლებელი გახდებოდა ბიზნესის განვითარება, მეწარმეების უზრუნველყოფა ბიზნესსესხებით... თუმცა „დღგ-ს კანონის“ მიღებიდან ორი წლის გასვლის შემდეგ, გარდა იმისა, რომ გაიზარდა ჩრდილოვანი ეკონომიკა, ფაქტობრივად ბიზნესმა შეწყვიტა გადასახადების გადახდა და მეწარმეებმა დაიწყეს ყველა შესაძლო გზის მოძიება, რათა თავიდან აეიცილებინათ გადასახადები, გაიზარდა სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების ფასები, დადებითი არაფერი იყო!..“*** „...დღის წესრიგშია კაკლის ექსპორტის საბაჟო გადასახადის გაუქმების საკითხი, რომელსაც ასევე ვერ მოაქვს მოგება სახელმწიფოსათვის. ამასთან დაკავშირებით, მოქალაქეებმა, რომლებიც ჩართულნი არიან კაკლის კულტივირებაში, პარლამენტს არაერთხელ მიმართეს, მათთვის ეს ძალიან დიდი პრობლემაა.“

დასასრულს **ასლან ბუანიამ** აღნიშნა, რომ „შეუძლებელია აიძულო ეს მთავრობა, იმუშაოს. ეფექტიანად ვერ იმუშავებს სხვა მთავრობაც, თუ ძირეული, ფუნდამენტური გარდაქმნები არ დაიწყება. ლაპარაკი უნდა მიდიოდეს სახელმწიფო მართვის, სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლო სისტემის რეფორმაზე. ჩვენ უნდა დავუბრუნოთ სახელმწიფოს მისი მთავარი ფუნქცია - კანონის შესრულების იძულება! დღეს კანონებს არავინ არ ასრულებს. უფრო მეტიც, ხელისუფლება თავად წარმოაჩენს კანონების მიმართ უპატივცემულობას და ამის გამო სამართალწესრიგიც არ არსებობს. და იქ, სადაც არ არსებობს სამართალწესრიგი, სადაც არ არსებობს სტაბილურობა, ეკონომიკა ვერ განვითარდება. ჩვენთან რომელიმე დარგში თუ გვქონდა განხორციელებული რაიმე სახის რეფორმა? ავიღოთ გადასახადები: რუსეთში იყო 22 ტიპის გადასახადი, დარჩა 6, ხოლო ბიუჯეტი 4-ჯერ გაიზარდა. ჩვენ მოვახდინეთ პრივატიზების დისკრედიტაცია: ობიექტებს, რომლის პირობითი ღირებულება 10 რუბლია, ვყიდით ორი რუბლის ფასად. ასეთი რამ ცოტა ხნის წინ გაგრაში მოხდა, და ჩვენ ეს ობიექტი გავყიდეთ ხმათა უმრავლესობით. ან პირიქით, ცოტა ხნის წინ მივიღეთ კანონი ენერგეტიკის ობიექტების პრივა-ტიზების აკრძალვის შესახებ. ასეთი პრივატიზაციის ჩატარება არ ჩაითვალა საჭიროდ. ***გსმენიათ რამე მიწის ან საბაჟო რეფორმის შესახებ? თქვენ იცით, რომ რუსეთში ამ სფეროში გარღვევა მოხდა, რადგან მათ საბაჟო გადასახადის მხოლოდ სამი განაკვეთი აქვთ, ჩვენთან კი - 35!*** და, ამასთან რამდენი შემოწმების ორგანო გვაქვს: საგადასახადო ინსპექტორები, პროკურორები, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საკონტროლო-სარევიზიო სამმართველო, კონტროლის პალატა და ასე შემდეგ! რატომ არის ასეთი რაოდენობის შემმოწმებელი, ბიზნესით დაკავებულ 12,000 მოქალაქეზე“. [**იხ. წყარო №5**].

აგრეთვე აღსანიშნავია ე.წ. პარლამენტის დეპუტატის **ასლან ბუანიას მიერ 2018 წლის 5 ივნისს** პოლიტიკური პარტიის X ყრილობაზე გაკეთებული განცხადება: „2014 წლიდან დღემდე დაგეგმილი სახელმწიფო ბიუჯეტი არც ერთხელ არ შესრულებულა, მათ შორის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ნაწილი. ინფლაციის გათვალისწინებით, ახალი გადასახადებისა და მოვალეობების დაწესება, აგრეთვე სხვა ფაქტორებმა, მათ შორის, რუბლის შემსყიდველ-უნარიანობამ, ვერ განაპირობა ის, რომ სახელმწიფოს მიეღწია 2013 წლის დონემდე. 2013 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტის საკუთარი წილი დაახლოებით 3 მლრდ რუბლს, ანუ 100 მლნ დოლარს შეადგენდა, 2017 წელს კი დაახლოებით 4 მლრდ 850 მლნ რუბლი შეადგინა, რაც 80 მლნ დოლარზე ნაკლებია. საიდან მიიღეს 1 მლრდ 800 მლნ რუბლი? ახალი გადასახადებით, დღგ-ის ჩათვლით (1 მლრდ რუბლი), ახალი აქციზის გადასახადით და, რაც მთავარია, გაცვლითი კურსის განსხვავებით დოლარსა და რუბლს შორის. საქონლის ფასები გაიზარდა და შესაბამისად გაიზარდა საგადასახადო ბაზა. ქვეყანაში სხვა არაფერი ხდება. ჩვენ დღეს სახელმწიფო ბიუჯეტში რეალურად ნაკლები ფული გვაქვს, ვიდრე 2011-2013 წლებში. ამავდროულად, ხელისუფლება თავს უფლებას აძლევს, ჩაიდინოს კანონის თვალსაზრისით, ყოვლად გაუგებარი და აუხსნელი საქციელი. კონტროლის პალატის დასკვნის მიხედვით, 2017 წლის ბიუჯეტში საბაჟო შემოსავლების ჯართის ექსპორტიდან 9.2 მლნ რუბლი (დაახლ. 0,16 მლნ აშშ $) იყო დაგეგმილი, ფაქტობრივი შემოსავალი დაფიქსირდა 2.5 მლნ რუბლი (დაახლ. 0,04 მლნ აშშ $), რაც თითქმის 7 მლნ რუბლით ნაკლებია. ეს განმარტებულია მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, რომ შემცირდეს საბაჟო გადასახადი 4-ჯერ - ტონა ჯართზე 20 დოლარიდან 5 დოლარამდე. თუ ეს ღონისძიება მიზნად ისახავს ექსპორტის მხარდასაჭერას, მაშინ გაუგებარია, თუ რატომ მოხდა იგივე კაბინეტის მიერ თხილის საექსპორტო გადასახადის დაწესება. გადაწყვეტილება, რომელმაც თხილის ფასი საგრძნობლად დასწია და აფხაზეთის 5 ათასზე მეტი ოჯახი გაკოტრების პირზე მიიყვანა. სად არის აქ ლოგიკა, მიდგომა და სამართლიანობა? რატომ უშვებს პრეზიდენტი და უჭერს მხარს ამ სავალალო ფაქტებს?“ [**იხ. წყარო №6**].

ყურადსაღებია იმავე ყრილობაზე პოლიტიკური პარტიის „ამცახარას“ თავმჯდომარის **ალხაზ კვიცინიას** მიერ გაკეთებული განცხადება: „საგადასახადო კანონმდებლობაში ინოვაციებმა გამოიწვია საგარეო ვაჭრობის მკვეთრი ვარდნა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის განვითარების უპერსექტივობა და ზოგადად მეწარმეობის წამგებიანობა. ხელისუფლება დუმს აფხაზეთის რესპუბლიკის საზღვარზე საქონლის გადაადგილების კონტროლზე საქართველო-რუსეთის შეთანხმების შესახებ. ეს ძალიან გასაკვირია, რადგან ცოტა ხნის წინ ხელშეკრულება გაფორმდა შვეიცარიულ კომპანიასთან ამ შეთანხმების პრაქტიკული განხორციელებისათვის. გვახსოვს რა სახის ისტერია მოაწყვეს ამ ბატონებმა აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებით, როდესაც ისინი თავად იყვნენ ოპოზიციაში? ჩვენ არ დავიწყებია. ჩვენ ნათლად გვესმის რა არის მათი ამჟამინდელი პოზიცია, როდესაც კონტრაქტი გაფორმდა აფხაზეთის მონაწილეობის გარეშე? რას ფიქრობს ყოფილი ოპოზიციონერი ქვეყნის პრეზიდენტისა და მისი თანამოაზრეების როლში? მათ უნდა განგვიმარტონ მათი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს თხოვნით, შვეიცარიული კომპანია მალე ჩვენს საზღვრებზე იქნება და გააკონტროლებს მთელი ტვირთის ნაკადს...“ [**იხ. წყარო №7**].

ცალკე უნდა აღინიშნოს ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული ე.წ. სახელმწიფოებრიობის დაცვის საერთო ეროვნული მოძრაობის შტაბის **2018 წლის 17 სექტემბრის** განცხადება.

მოვიყვანთ რამდენიმე ამონარიდს ამ განცხადებიდან:

"1. აფხაზეთი გახდება კანონის უზენაესობის დამცველი სახელმწიფო ", - რაულ ხაჯიმბა ხშირად იმეორებდა წინასაარჩევნო კამპანიის დროს. შედეგად, ჩვენ გვაქვს კრიმინალური სიტუაციის უპრეცედენტო გაუარესება. მკვლელობა, ყაჩაღობა, ხალხის გატაცება, უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩათვლით, რომელსაც ძალიან ნეგატიური გავლენა აქვს ქვეყნის იმიჯზე. ქვეყნის ხელმძღვანელობის მხრიდან ადეკვატური მხარდაჭერის არარსებობამ გამოიწვია სამართალ-დამცავი სისტემის დაშლა და მათდამი საზოგადოებრივი ნდობის შემცირება. სახელმწიფო დაცვის არარსებობის პირობებში მოქალაქეებმა დამოუკიდებლად გადაწყვიტეს თავიანთი უსაფრთ-ხოებისა და საკუთრების დაცვის საკითხები. გახშირდა თვითგასამართლების შემთხვევები;

2. დანაშაულის გაუარესების შედეგად და აგრეთვე სხვა ფაქტორებთან ერთად, აფხაზეთი ინვესტორებისთვის მიმზიდველი აღარ არის;

3. სისტემური ეკონომიკური კრიზისი საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკას. რაულ ხაჯიმბას ოთხი წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტი არასოდეს ყოფილა შესრულებული. მიუ-ხედავად იმისა, რომ "ეკონომიკური წარმატების" და "შემოსავლების ზრდაზე" მოხელეების ანგა-რიშები, ფაქტობრივად, ინფლაციური პროცესების გათვალისწინებით, 2013 წლის მონაცემებთან შედარებით, მოქალაქეების რეალური შემოსავალი შემცირდა. ამავდროულად, მეწარმეების საგადასახადო ტვირთი გაიზარდა და, შესაბამისად, ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა.

4. კორუფციამ ხელისუფლების ყველა დონეზე შეაღწია. მის უპრეცედენტო მასშტაბზე თავად პრეზიდენტი საუბრობს. 2018 წლის 2 ივლისს, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფორუმზე გამოსვლისას, რ. ხაჯიმბამ თქვა, რომ კორუფციის მასშტაბი სახელმწიფო მოხელეთა შორის წელიწადში ნახევარ მილიარდ რუბლზე მეტს შეადგენს“ და სხვ. [**იხ. წყარო №8**].

3. ფულადი გზავნილები ოკუპირებული აფხაზეთიდან საზღვარგარეთ და საზღვარგარეთიდან ოკუპირებულ აფხაზეთში

ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით **2016 წლის პირველ ნახევარში** რეგიონიდან საზღვარგარეთ გადაიგზავნა **1204 მლნ რუბლი** (აქ შედის ფულადი გზავნილები, როგორც რუსეთის რუბლში, ისე რუსეთის რუბლის ეკვივალენტური უცხოურ ვალუტაში) (≈ 18,2 მლნ აშშ $), რაც 11%-თ მეტია 2015 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (აქ შედის ფულადი გზავნილები, როგორც რუსეთის რუბლში, ისე რუსეთის რუბლის ეკვივალენტური უცხოურ ვალუტაში).

რეგიონიდან ფულადი გზავნილების სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი მოდის რუსეთის ფედერაციაზე - 68.5%, ხოლო ცენტრალური აზიის ქვეყნებზე - 16.8%.

2016 წლის პირველ ნახევარში საზღვარგერეთიდან რეგიონში ფულადი გზავნილების მოცულობამ **885 მლნ რუბლი** (≈ 13,4 მლნ აშშ $) შეადგინა, რაც 21%-თ მეტია 2015 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

საზღვარგარეთიდან ოკუპირებულ აფხაზეთში გზავნილების სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი მოდის რუსეთის ფედერაციაზე - 91%, დსთ-ს სხვა ქვეყნებიდან (რუსეთის ფედერაციის გამოკლებით) რეგიონში ფულადი გზავნილების ერთობლივი წილი შეადგინა მთლიანი გზავნილების 6.4%-ს, ხოლო სხვა ქვეყნებიდან გზავნილების ერთობლივი წილი - 2.3%.

უნდა აღინიშნოს, რომ **2016 წლის პირველ ნახევარში** რეგიონიდან საზღვარგარეთ ფულადი გზავნილების მოცულობა 36%-ით აღემატება ფულადი გზავნილების მოცულობას საზღვარ-გარეთიდან რეგიონში. **2015 წლის პირველ ნახევარში** კი გზავნილები რეგიონიდან პრაქტიკულად 2-ჯერ აღემატებოდა გზავნილების მოცულობას საზღვარგარეთიდან რეგიონში. [**იხ. წყარო №3**].

ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით **2017 წლის პირველ ნახევარში** რეგიონიდან საზღვარგარეთ გადაიგზავნა **2318.3 მლნ რუბლი** (≈ 39,77 მლნ აშშ $).

რეგიონიდან ფულადი გზავნილების სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი მოდის რუსეთის ფედერაციაზე - 75.2%, რაც 1,743.2 მლნ რუბლს (≈ 29,9 მლნ აშშ $) შეადგენს, მაშინ როდესაც ცენტრალური აზიის ქვეყნებზე მოდის გზავნილების 13.8% ანუ შეადგენს 319.4 მლნ რუბლს (≈ 5,5 მლნ აშშ $).

2017 წლის პირველ ნახევარში საზღვარგერეთიდან რეგიონში ფულადი გზავნილების მოცულობამ **865.6 მლნ რუბლი** (≈ 14,8 მლნ აშშ $) შეადგინა.

საზღვარგარეთიდან ოკუპირებულ აფხაზეთში გზავნილების სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი მოდის ისევ რუსეთის ფედერაციაზე - 91.8%, რომელიც აბსოლუტური მნიშვნელობით 795.7 მლნ რუბლი (≈ 13,65 მლნ აშშ $) შეადგინა. დსთ-ს სხვა ქვეყნებიდან (რუსეთის ფედერაციის გამოკლებით) რეგიონში ფულადი გზავნილების ერთობლივი წილი შეადგინა მთლიანი გზავნილების 3.6%-ს ანუ აბსოლუტურ მაჩვენებელში - 31.4 მლნ რუბლს (≈ 0,54 მლნ აშშ $).

აღსანიშნავია, რომ **2017 წლის პირველ ნახევარში** რეგიონიდან საზღვარგარეთ ფულადი გზავნილების მოცულობა დაახლოებით 2.7-ჯერ აღემატება ფულადი გზავნილების მოცულობას საზღვარგარეთიდან რეგიონში.

ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული ფულადი გზავნილების თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ოკუპირებულ აფხაზეთში ფუქნციო-ნირებენ ისეთი ფულადი გზავნილების სისტემები, როგორიცაა: Золотая корона, Контакт, Юнистрим, Анелик, Лидер, Интер-Экспресс, Быстрая почта, Близко.

2017 წლის პირველ ნახევარში, აფხაზეთიდან სხვა რეგიონებში გადარიცხვის ყველაზე პოპულარული სისტემები იყო Золотая корона, Контакт, Юнистрим. ამ უკანასკნელთა წილი აფხაზეთის ტრანსფერების საერთო მოცულობაში, შესაბამისად, 45.1%-ს, 41.7%-ს და 12.5%-ს შეადგენს. იგივე ფულადი გზავნილების სისტემები აფხაზეთში საზღვარგარეთიდან თანხების გადარიცხვისას წამყვან პოზიციებს იკავებენ. 2017 წლის პირველ ნახევარში ამ გზავნილების სისტემების წილი, შესაბამისად, აფხაზეთში მთლიანი ფულადი გზავნილების 74.4%, 17.4% და 7.9% შეადგინა. [**იხ. წყარო №4**].

4. დასკვნები

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ აფხაზეთის ეკონომიკის განვითარების პროცესზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს ისეთი მთავარი გარე ფაქტორი, როგორიცაა დამოკიდებულება რუსეთთან. უკანასკნელი წარმოადგენს აფხაზეთის ე.წ. რესპუბლიკის მთავრობის მთავარ სტრატეგიულ, გეოეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ პარტნიორს. რუსული რუბლის გამოყენება აფხაზეთის ტერიტორიაზე, როგორც გადახდის ოფიციალური საშუალება, კიდევ უფრო აძლიერებს აფახაზეთის ე.წ. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორიენტაციას და ზოგადად რეგიონის მიბმას რუსეთზე.

აფხაზეთის ეკონომიკაში სულ მცირე პოზიტიური ძვრების მიუხედავად, უაღრესად დიდ პრობლემად მაინც რჩება ცხოვრების ხარისხის დაბალი დონე და მოსახლეობის მკვეთრად დიფერენცირებული შემოსავალი, ინფრასტრუქტურული და ინსტიტუციონალური ხასიათის პრობლემები, რაც ზღუდავს არსებული ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების საშუალებას და ზოგადად რეგიონის ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობას.

აქედან გამომდინარე ოკუპირებული აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების დღის წესრიგში მუდმივად დგას რეგიონის ეკონომიკის რეფორმირების საჭიროება, რაც დღეის მდგომარეობით იქ არსებული ვითარებიდან გამომდინარე შეუძლებლად მიგვაჩნია.

ოკუპირებული აფხაზეთის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებთან დაკავშირებული არსებული ზემოთ აღწერილი სიტუაციისა და გარემოებების გაშუქებისა და ანალიზის შედეგად შეიძლება დავაფიქსიროთ გარკვეული ტენდენციები და გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები:

1. რეგიონში შეიმჩნევა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ძალზე დაბალი მასშტაბები და განვითარების საკმაოდ დაბალი დონე;
2. ბოლო წლებში შეიმჩნევა საგარეო საქონელბრუნვის შემცირება, რაც განსაკუთრებით ნათელი ხდება, როდესაც შესაბამის იმპორტ-ექსპორტის მაჩვენებლებს ავსახავთ შედარებით სტაბილურ ვალუტაში, კერძოდ, აშშ დოლარებში);
3. რეგიონში განხორციელებული იმპორტი დაახლოებით 4-5-ჯერ აღემატება ექსპორტს;
4. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ ოკუპირებული აფხაზეთის საგარეო ვაჭრობის მკვეთრი ვარდნა (განსაკუთრებით შემცირდა საექსპორტო საქმიანობის მასშტაბები), ბევრი აფხაზი ოპოზიციონერი ე.წ. დეპუტატის თვალსაზრისით, სხვა ფაქტორებთან ერთად, საგადასახადო კანონმდებლობაში (მათ შორის „კანონში დღგ-ს შესახებ“) შეტანილი მცდარი ცვლილებებით არის გამოწვეული;
5. იმ ფონზე, რომ იმპორტი რამდენჯერმე აჭარბებს ექსპორტს, საკმაოდ მძიმე ვითარებაზე მეტყველებს ფიზიკური პირების ფულადი გზავნილების არსებული სტრუქტურა, რომლის მიხედვით წლების განმავლობაში უფრო მეტი ფულადი მასა გადის რეგიონიდან, ვიდრე შემოდის, რაც ფინანსური სახსრების გადინებას მოასწავებს, მაშინ როდესაც რეგიონში ფინანსური რესურსების სერიოზული დეფიციტია და ფინანსების ხელმისაწვდომობა ფართო მასებისთვის საკმაოდ შეზღუდულია;
6. ცალკე აღსანიშნავია, რომ ოკუპირებული აფხაზეთის საბაჟოს თანამდროვე ტექნიკა-ტექნოლოგიურ აღჭურვილობაზე ლაპარაკი ზედმეტია;

7. არსებული ადგილობრივი წარმოებისა და, განსაკუთრებით, საექსპორტო საქმიანობის მდგომარეობაზე დაყრდნობით პერსპექტივაში რეგიონის წინსვლა და მასშტაბური განვითარება რთულად წარმოსადგენია. ეს განპირობებულია ძირითადად, ერთი მხრივ, ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკის მონოპოლიური, კლანური და კორუმპირებული ბუნებით, მეორე მხრივ კი - მძაფრი კრიმინოგენური მდგომარეობით და პოლიტიკური არასტაბილურობით.

გამოყენებული წყაროები:

1. https://www.customsra.com/single-post/2018/03/31/%D0%93%D0%BE%D1%81%D1%83%D0%B4%D0%B0%D1%80%D1%81%D1%82%D0%B2%D0%B5%D0%BD%D0%BD%D1%8B%D0%B9-%D1%82%D0%B0%D0%BC%D0%BE%D0%B6%D0%B5%D0%BD%D0%BD%D1%8B%D0%B9-%D0%BA%D0%BE%D0%BC%D0%B8%D1%82%D0%B5%D1%82-%D0%90%D0%B1%D1%85%D0%B0%D0%B7%D0%B8%D0%B8-%D0%BF%D0%BE%D0%B4%D0%B2%D0%B5%D0%BB-%D0%B8%D1%82%D0%BE%D0%B3%D0%B8-%D1%80%D0%B0%D0%B1%D0%BE%D1%82%D1%8B-%D0%B7%D0%B0-2017-%D0%B3%D0%BE%D0%B4 - Государственный таможенный комитет Абхазии подвел итоги работы за 2017 год – 31.03.2018;
2. Торговое Представительство Российской Федерации в Республике Абхазия. Обзор состояния экономики и основных направлений внешнеэкономической деятельности Республики Абхазия за 2017 год. Республика Абхазия, г. Сухум;
3. Национальный банк Республики Абхазия. Основные направления единой государственной денежно-кредитной политики на 2017 год. Сухум, 2016;
4. Национальный банк Республики Абхазия. Основные направления единой государственной денежно-кредитной политики на 2018 год. Сухум, 2017;
5. Абхазия-Информ - 12.12.2017 18:27 - Депутаты от оппозиции: проект Республиканского бюджета на 2018 г. – Это бюджет выживания, а не развития страны;
6. http://www.amtsakhara.org/ru/events/publication/906/ - Аслан Бжания: «Действия властей подводят страну к опасной черте, за которой хаос, беззаконие и социальный ад» (Выступление на X съезде ПП «Амцахара». Сухум, 5 июня 2018 г.);
7. http://www.amtsakhara.org/ru/events/publication/905/ - Алхас Квициниа: «Амцахара» не уходит от обсуждения сложных проблем и не боится высказывать свою точку зрения» (Выступление на X съезде ПП «Амцахара». Сухум, 5 июня 2018 г.);
8. http://www.amtsakhara.org/ru/events/publication/915/ - "...нынешнее положение дел может привести к неконтролируемым процессам..." (Заявление штаба Общенационального движения по защите государственности. Сухум, 17 сентября 2018 г.);
9. https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20180204/1023074485/den-u-vorot-abxazii-kak-rabotayut-abxazskie-tamozhenniki.html - 04.02.2018 - День у ворот Абхазии: как работают абхазские таможенники.

დანართი

რუსული რუბლის საშუალოწლიური კურსი
აშშ დოლართან და ქართულ ლართან მიმართებაში (2012-2017)

	რუსული რუბლი	**აშშ დოლარი**
2012	31,08	1
2013	31,85	1
2014	38,61	1
2015	61,07	1
2016	66,08	1
2017	58,29	1

	რუსული რუბლი	**ქართული ლარი**
2012	18.70	1
2013	18.22	1
2014	19.15	1
2015	36.42	1
2016	31.41	1
2017	22.18	1

წყაროები: 1. რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის მონაცემთა ბაზა ვალუტის კურსებთან დაკავშირებით; 2. https://www.calc.ru/kotirovka-gruzinskiy-lari.html)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის
პოლიტიკური ანალიზისა და კვლევების სამმართველო